მათემატიკის ოლიმპიადის ფინალური

ტურის ტესტების მიმოხილვა

მე-3 კლასის

ტესტი შედგება 12 დავალებისგან და 4 სავარაუდო პასუხისაგან. მისი ჯამური ქულაა 50. სხვადასხვა სავარჯიშოს აქვს განსხვავებული ქულა, რომელიც დამოკიდებულია სირთულესა და ამოცანის ამოსახსნელად საჭირო დროზე. ტესტში მოცემულია ამოცანები შემდეგი გადანაწილებით:

2 ცალი	**2 ქულიანი**
2 ცალი	**3 ქულიანი**
3 ცალი	**4 ქულიანი**
3 ცალი	**5 ქულიანი**
1 ცალი	**6 ქულიანი**
1 ცალი	**7 ქულიანი**

მოსწავლემ უნდა შემოხაზოს პასუხი ლოგიკურად (ამოცანიდან გამომდინარე), ჯერ ამოხსნას ამოცანა და შემდეგ აირჩიოს სავარაუდო პასუხი, ან გამორიცხვის მეთოდით მივიდეს სწორ პასუხამდე (მოცემული პასუხებიდან გამომდინარე).

არითმეტიკა და რიცხვებზე მოქმედება

მოსწავლემ უნდა შეძლოს მარტივი არითმეტიკული მოქმედებების შესრულება (შეკრება, გამოკლება, მოქმედებათა სწორი თანმიმდევრობით).

მაგალითი: (2 ქულა) ათისა და სამის სხვაობა გაზარდეს თხუთმეტით. რა მიიღეს?

A) 25 B) 22 C) 7 D) 8

ლოგიკური აზროვნება

ამოცანების ნაწილი დაკავშირებულია ტექსტის გაანალიზებასთან, საათისა და დღეების ცნობასთან და ა.შ. ასეთი ამოცანები ავითარებს მოსწავლის ლოგიკურ აზროვნებას.

მაგალითი: (4 ქულა) ცნობლია, რომ რომელიღაც წლის 10 ნოემბერი იყო ოთხშაბათი. რა დღე იქნება იმავე წლის 1 დეკემბერი?

A) ორშაბათი B) სამშაბათი C) ოთხშაბათი D) ხუთშაბათი

რიცხვების შედარება

ასეთი ტიპის დავალებები ავითარებს ლოგიკურ აზროვნებასა და რამდენიმენაბიჯიან გამოსახულებებზე მუშაობის უნარს.

მაგალითი: (4 ქულა) რომელს აქვს მეტი ფეხი, 6 ძაღლს, თუ 12 ადამიანს (იგულისხმება, რომ ყველა ძაღლი და ადამიანი არის ჯანმრთელი, არცერთს არ აკლია ფეხი)?

A) 6 ძაღლს B) 12 ადამიანს C) თანაბარი აქვთ D) შეუძლებელია დადგენა

ვიზუალური აღქმა

მოსწავლემ უნდა შეძლოს სურათზე მოცემული გამოსახულებებიდან ობიექტების დათვლა და ამის მიხედვით შეკითხვაზე პასუხის გაცემა

მაგალითი: (2 ქულა) იპოვეთ 😂 და 😍, თუ:

😂 + 😍 =7 და 😂 - 😍 =1

A) 😂 =4, 😍 =3 B) 😂 =3, 😍 =4

C) 😂 =5, 😍 =2 D) 😂 =2, 😍 =5

გისურვებთ წარმატებას და გელოდებით 14 დეკემბერს მათემატიკის ოლიმპიადის ფინალურ ტურზე.

მათემატიკის ფინალური ტურის საფასურია 29 ლარი. გადახდისათვის ეწვიეთ ბმულს: https://kings.ge/gadaxda